

K 70141
3

06/10/2020
2018-2019/01/05

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



მეცნიერულ-ბობულარული სერია

663 258

გ. მოსიაზვისი

ღვინის ავარეაციონი

K 20.141
3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა

თბილისი—1957

შესავალი

ტკბილსა და ღვინოში მოქმედი მიკროორგანიზმები შეიძლება განვითილოთ ორი მხრივ: ერთი მხრივ, როგორც სასარგებლონი, რომელთაც ცხოველმყოფელური მოქმედების შედეგად შეუძლიათ წარმოებას მოუტანონ სარგებელი, მეორე მხრივ, როგორც ისეთები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით არღვევენ ტკბილისა და ღვინის შემადგენელ შენაერთებს და ღვინის გემოზე, სურნელებასა და მთელ მის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენენ.

ღვინის ისეთ არასასურველ ცვლილებებს, რომლებსაც მიკროორგანიზმები იწვევენ, ეწოდება ინფექციური ავადმყოფობანი. მაშასადამე, ავადმყოფობა ეწოდება ღვინის ისეთ არანორმალურ ცვალებადობას, რომელიც გამოწვეულია მასში მოქმედ მავნე მიკროორგანიზმების მიერ.

ღვინოში ავადმყოფობანი მქლავნდება მრავალი ნიშნით: სიმღვრივით, გალორწოებით, ფერის შეცვლით, შემადგენელი ნივთიერებების ცვალებადობით, ჰარმონიულობის დარღვევით და სხვ.

ღვინოში არსებულ ამა თუ იმ დაავადებათა აღმგზნებლებს ვხვდებით ჯერ კიდევ ყურძენზე, მისი სიმწიფის დროს. ამისათვის ყურძნის მოკრეფისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაზიანებული და დაავადებული მტევნებისა და მარცვლების გამორჩევას.

ყურძნის წვენის დუღილი წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ და მთავარ პროცესს. ამისათვის სპეციალისტი სისტემატურად თვალყურს უნდა აღევნებდეს ღვინის დუღილის მსვლელობას.

პროცესილაზტიკური ღონისძიებები

შენობა, რომელშიაც მიმდინარეობს ყურძნის გადამუშავება და ლვინის შენახვა, უნდა იყოს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ.

სარდაფში ან მარანში მოთავსებული ინვენტარი ან ჭურჭელი სისტემატურად უნდა სუფთავდებოდეს. შენობის იატაკი სისტემატურად უნდა იწმინდებოდეს მუშაობის დამთავრების შემდეგ.

კედლებზე ობის განვითარების აცილების მიზნით, მას ყოველწლიურად უნდა ათეთრებდნენ კირის რძით, რომელსაც მიმატებული აქვს $10-15\%$ შაბიამანი. სარდაფისა და მარნის დეზინფექციისათვის სისტემატურად ახრჩოლებენ გოგირდს.

მეღვინეობაში ხმარებული ჭურჭლის სისუფთავეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ლვინის ხარისხი უშუალოდ დამკაიდებულია იასზე. დაობებული ჭურჭელი ლვინოს ობის გამოუსწორებელ სუნს სძენს. დაძმარებული ლვინის ნარჩენი ბოჭკა კი მატარებელია ძმარმევა ბაქტერიების და საშიშ მოვლენას წარმოადგენს ლვინის შენახვის დროს.

ცარიელი ჭურჭელი ხმარების წინ მოითხოვს განსაკუთრებულ შემოწმებას. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჭურჭელს აქვს ობის ან ძმრის სუნი, ანდა მასში გაჩენილია ობის მიცელიუმი, ძმრის ბაქტერიების ფენა ან სხვა ამგვარი, მაშინ ასეთ დაავადებულ ჭურჭელს ამუშავებენ განსაკუთრებული წესით.

დაავადებული ჭურჭელის გარეცხვას ამუშავებენ 10% სოდის ცხელი ხსნარით, შემდეგ კარგად უნდა გამოიორთქლოს,

გამოირეცხოს ცხელი წყლით და შემდეგ რამდენიმეჯერ ცუკრავა
წყლით გამოირეცხება. თუ ბოჭქაში დაავადება ძლიერზეა
განვითარებული, მაშინ მას ერთ ძრს გამოაცლიან და რეც-
ხენ 10%, სოდის ცხელი ხსნარით ჯაგრისის დახმარებით. ამის
შემდეგ გამოირეცხენ ცხელი წყლით და რამდენიმეჯერ გამო-
ავლებენ ცივ წყალს.

თუ დამუშავების შემდეგ ბოჭქას შერჩა ობის, ძმრის ან
სხვა გარეშე სუნი, გაშინ მას განმეორებით ამუშავებენ აღ-
წერილი წესით.

ობისა და ძმრის ორგანიზმებით ძლიერ დაავადებულ ბოჭ-
ქას გამოსწვავენ ვაზის წალმით ან მუხის ბურბუშელის ცე-
ცხლის ალით, რის შემდეგაც გამოაშალაშინებენ და ამუშა-
ვებენ ზემოთ აღწერილი წესით. ხოლო ორდესაც შეუძლებე-
ლია ბოჭქის გამოჯანსალება, მაშინ, მას გამოდევნიან ხმარე-
ბიდან.

დამუშავებული ჭურჭელი არავითარ შემთხვევაში არ უნ-
და დავტოვოთ ყურადღების გარეშე, რადგან მასში შეიძლება
განვითარდნენ ბაქტერიები და ობის სოკოები, მით უმეტეს,
რომ ცხელი წყალი ან სოდის ხსნარი მიკროორგანიზმების
ყველა სახეს ვერ ხოცავს, რის შემდეგაც იწყებენ განვითარე-
ბას და გამრავლებას. ამისათვის საჭიროა დამუშავებული ბოჭქა,
შენახული ხმარებამდე, მოწმდებოდეს სისტემატურად და დრო-
გამოშვებით კარგია გოგირდის ხრჩოლება. ლვინის დაავადე-
ბის გამომწვევი ბაქტერიები იხოცებიან $60-75^{\circ}\text{სე}$ 30 წუ-
თის განმავლობაში ხოლო მათი სპორები 100°სე მაღალ ტემ-
პერატურასაც კარგად იტანენ, ისინი იხოცებიან $125-140^{\circ}\text{სე}$
 30 წუთის განმავლობაში: ობების სპორები სველ მდგომარე-
ობაში იხოცებიან $60-70^{\circ}\text{სე}$, ხოლო მშრალ მდგომარეობაში
 $127-132^{\circ}\text{სე}$.

ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჭურ-
ჭლის ნაპრალებში ყოველთვის რჩებიან ცოცხალი ორგანიზმების
უჯრედები და სპორები, რომლებიც ხელსაყრელი პირობების
შექმნის მომენტში იწყებენ განვითარებას და გამრავლებას.
ამ მოფლენის პრილებისათვის საჭიროა ჭურჭელი გულმოლგი-

ნედ შემოწმდეს და ასეთ შემთხვევაში გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ჭურჭლის დამუშავების დროს ტემპერატურა არა სცილდება 100° -ს, ამ შემთხვევაში ობისა და ბაქტერიის სპორები ხშირად რჩებიან ცოცხლები, გარდა ამისა ბოჭკაში ჰაერიდანაც ცვივიან მიკროორგანიზმები.

იმისათვის, რომ დაავადებული ბოჭკა დამუშავების შემდეგ დავიცვათ განმეორებითი დაავადებისაგან, საჭიროა დამუშავებისა და გაშრობის შემდეგ ბოჭკაში გოგირდი გახრჩოლოთ. გოგირდის ხრჩოლების შედეგად ბოჭკაში წარმოშობილი გაზი საშუალებას არ მისცემს მასში არსებულ მიკროორგანიზმების განვითარებას. დამუშავებულ ჭურჭელს ინახავენ მშრალ ადგილას. შენახვის პერიოდში დროგამოშვებით ჭურჭელს ამოწმებენ და თუ მასში გოგირდის გაზის სუნი შესუსტებულია, მაშინ განმეორებით უხრჩოლებენ გოგირდს.

საღულარი ჩანების კირგად დამუშავების შემდეგ მის კედლებს ასველებენ სოდის მაძლარი ხსნარით და ასე ტოვებენ, როდესაც კედელი გაშრება, მასზე წარმოშობილი სოდის შრე საშუალებას არ მისცემს რომ მიკროორგანიზმები განვითარდნენ.

მიუხედავად მრავალგვარი პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარებისა. მაინც ადგილი აქვს ობისა და ბაქტერიების განვითარებას როგორც სარდაფში, ინვენტარზე, ისე ღვინოშიც, რის შედეგადაც ხდება ღვინის დაავადება.

ძლიერ განვითარებული ობის მიცელიუმში, შედის ტკეჩების შუალედებში, ჩაიზრდება ღვინოში ან წვენში და იწვევს მათ დაავადებას, ასევე ბაქტერიების მხრივაც.

ასეთი ბოჭკიდან აუცილებელია ღვინის გადმოსხმა ჯანსაღ ჭურჭელში და დაავადებული ბოჭკის დამუშავება ზემოთ აღწერილი წესით.

11 ბაზტანიში

ტკბილსა და ღვინოში გარდა საფუტრებისა და მისი მსგავსი ორგანიზმებისა მრავლად გვხვდება სხვადასხვა ბაქტერიების განვითარება.

ტერიებიც. ბაქტერიები ძალიან მცირე ზომის ცოცხალი განიშვნებია, მათი დანახვა შეიძლება მხოლოდ მიკროსკოპში.

ბაქტერიათა ერთი ჯგუფი მყვდარ მცენარეთა და ცხველთა ორგანული ნივთიერებით იკვებებიან — ამათ ეწოდებათ საპროფიტები; მეორე ჯგუფი კი ცოცხალი ორგანიზმით იკვებება, მათ პარაზიტებს უწოდებენ. ნივთიერებათა გარდაქმნაში მთავარ როლს საფუვრებთან ერთად საპროფიტი-ბაქტერიები ასრულებენ. ღვინისა და ტკბილის სხვადასხვა ავალ-მყოფობებს მეტწილად საპროფიტი—ბაქტერიები იწვევენ.

ბაქტერიები სხვადასხვა ფორმისანი არიან: ბურთისებრნი, ჩხირისებრნი, სპირალისებრნი და სხვ. ტკბილსა და ღვინოში უმთავრესად გვხვდებიან ბურთისებრი და ჩხირისებრი ბაქტერები.

არახელსაყრელ პირობებში ბაქტერიების ზოგიერთ სახეებს სპირალის წარმოშობის უნარი აქვთ.

შესაფერ პირობებში ბაქტერიები სწრაფად მრავლდებიან, და მათ ბუნებაში თითქმის ყველგან ვხვდებით. ისინი კარგად ვითარდებიან ყურძნის წვენში და ღვინოში. თუმცა აქ მათი მოქმედება ცოტად თუ ბევრად შეზღუდულია მეავებისა და სხვა ნივთიერებათა გამო.

უანგბადის მოთხოვნილების მიხედვით ტკბილისა და ღვინის დაავადების გამომწვევი ბაქტერიები იყოფიან აერობებად და ანაერობებად. მათი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ აერობები სუნთქვისათვის იყენებენ ჰაერის უანგბადს, ხოლო ანაერობები უანგბადს ღებულობენ სხვადასხვა ნივთიერებათა აღდგენის ხარჯზე.


ტკბილსა და ღვინოში არსებული ბაქტერიებიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ უმთავრესებს, იმ ბაქტერიებს, რომლებიც იწვევენ ტკბილისა და ღვინის ავალმყოფობას.

1. ღვინის ბრკე

ბრკის გამომწვევი მიკროორგანიზმი მიკოდერმა, ვინი (*Mycoderma vini*) უმთავრესად გვხვდება ღვინის წარმოებებში. მის მიერ გამოწვეული ავალმყოფობა ხასიათდება ღვინის



ზედაპირზე თეთრი ან მოყვითალო ფერის ბრკის წარმოშობის გარეშე ბით. ბრკე შეიძლება იყოს სწორზედაპირიანი, დანაკებული ან სქელბორცვებიანი, რაც ფარავს სითხის მთელ ზედაპირს. ამ ავადმყოფობით ღვინის ფერი არ იცვლება, მაგრამ როდესაც ბრკე ძველდება და დაბლა ეშვება, იწვევს ღვინის შემლვრევას; ამასთან ერთად იგრძნობა არასასიამოვნო მომწარო სუნიც. ავადმყოფობის დასაწყისში გემო საგრძნობლად არ იცვლება, ხოლო ბრკის ხანგრძლივი მოქმედებით ღვინო შეიქმნება ოხელი, წყლიანი და უგემური, სუნიც გარკვევით არასასიამოვნო ექნება. საბოლოოდ გარდაიქმნება ისეთ ნივთიერებად, სადაც ალკოჰოლი არ იქნება და რომელსაც უკვე აღარ შეიძლება ვუწოდოთ ღვინო. ბრკით დაავადების გამომწვევი ორგანიზმი პასტერის მიერ აღწერილია მიკოდერმა ვინის სახელწოდებით (სურ. 1) მიკოდერმასთან ერთად ბრკის



სურ. 1

საერთოდ ბრკის წარმოშობი საფუვრები იწვევენ ისეთი ღვინის დაავადებას, რომელსაც აქვს დაბალი სპირტიანობა, დაბალი სიმჭავე და სხვ.

მიკოდერმა თავისი განვითარებისათვის მოითხოვს დიდი რაოდენობით განგბადს და როგორც ძლიერი დამჭანგველი

წარმოშობაში მონაწილეობას ღებულობენ, აგრეთვე ბრკის წარმომშობი საფუვრები: ჰანზენულა, პიხია, ზიგოპიხია, ტორულოპისის და სხვ.

მიკოდერმა მრავლდება დაკვირტვით და წარმოშობს საფუარის ტიპიურ კოლონიებს. მათი გამრავლებისათვის თბილი მაღალური ტემპერატურაა $24-26^{\circ}\text{C}$.



სპირტს უანგავს ნახშირმჟავამდე და წყლამდე. ასე მაგალითაზე ამ საფუვრების სუნთქვის შედეგად სპირტი ჯერ იქანგება ძმარმჟავა ალდეჭრდსა და ძმრის სიმჟავეში. შემდეგ იშლება ნახშირმჟავად და წყლად.

მსგავს ღრმა ცვლილებებს ღვინის სხვა ორგანული შემადგენელი ნივთიერებები: გლიცერინი, ტანიდები და სალებავი ნივთიერებებიც განიცდიან. მიკროორგანიზმის კვების პროცესში მათი რაოდენობა ღვინოში საგრძნობლად მცირდება.

მიკოდერმა ვინის ძველი უჯრედები ილექტიან სითხის ძირზე და აქ განსაკუთრებული ენზიმების დახმარებით წარმოშობენ გოგირდწყალბადს და უანგ მარილებს ალადგენენ.

მიკოდერმის მავნე მოქმედების შედეგად ალკოჰოლისა და მუავეების შემცირება ხდება, რაც პირობებს უქმნის მრავალ მავნე მიკროორგანიზმის განვითარებას, რადგან ასეთი „ღვინო“ მათვების კარგ საკეებ არეს წარმოადგენს.

ბრკე რომ ღვინოს არ გაუჩნდეს, ჭურჭელი პირამდე მუდამ სავსე უნდა იყოს და საცობით მეტიღოდ დახურული ისე, რომ მიკოდერმის უჯრედებს ჰაერის უანგბალით სარგებლობის საშუალება არ მიეცეს.

ბრკის წინააღმდეგ თუ დროულად იქნა მიღებული შესაფერი ზომები, მისგან ღვინის გამოჯანსაღება ადვილია.

ღვინოს თუ ბრკე ბოჭკაში გაუჩნდა, საჭიროა ღვინოში ჩავუშვათ ძაბრი ფრთხილად და ბოჭკა პირამდე ღვინით შევავსოთ. ამის შემდეგ ხის კვერით ბოჭკის ზედა ტკეჩებს ფრთხილად შემოუკაკუნოთ, რომ ტკეჩების გვერდებზე მიკრული ბრკის ნაშთიც ზევით ამოცურდეს და შევსებული ბოჭკიდან ზევით გადმოიღვაროს. ბრკის მოშორების შემდეგ ღვინო გოგირდნახრის ღვინოში უნდა გადავიღოთ, პირამდე შევავსოთ, საცობი მჭიდროდ გავუკეთოთ, საცობის გარშემო სპირტში დასველებულ ტილოთი შემოვწმინდოთ და ამ მდგომარეობაში შევინახოთ.

მიკოდერმით დაავადებული ღვინის გადაღებას შემდეგ ნაირადაც აწარჩეოებენ: იმ ბოჭკას, სადაც განვითარებულია



ბრკე, ძირში უკეთებენ ონჯანს და ამ ონჯანის საშუალებრივ ლვინოს გადაიტანენ კარგად დამუშავებულ ბოჭკაში. თუ ბოჭკა არ შეივსო, მაშინ მას ავსებენ ჯანალი ლვინით. გადალების ტროს აკვირდებიან, რომ ბრკე არ გადაჰყენ ლვინოს.

ქვევრში მიკოდერმით დაავადებულ ლვინოს ბრკეს მოაშორებენ სუფთა ტილოთი და საღი ლვინით შეავსებენ. ქვევრში ლვინო ბრკის განენისაგან რომ დაიფარონ, მას ზედაპირზე ერთი ჭიქა 96° სპირტს ასხამენ ფრთხილად, რომ ლვინოში არ აირიოს. ბრკის გაჩენის წინააღმდეგ იყენებენ აგრეთვე მზესუმზირას ან ნიგვზის ზეთს, მას ლვინის ზედაპირზე ასხამენ თხელ ფენად, ლვინის ზეთი თავზე მოადგება და ბრკის გაჩენისაგან დაიცავს. ზოგიერთ შემთხვევაში მიმართავენ აგრეთვე ქვევრში ლვინის ზედაპირზე წიპჭის მოყრას თხელ ფენად.

2. ლვინის დაძმარება

ლვინის სხვა დაავადებებთან შედარებით უფრო გავრცელებულ და საშიშ ავადმყოფობას ლვინის დაძმარება წარმოადგენს. ეს ავადმყოფობა ხასიათდება იმით, რომ ლვინის ზედაპირზე პირველად წარმოიშვება მონაცრისფერო თხელი აპკი, შემდეგ კი სქელდება, დანაოჭებული ხდება და ფარავს მთელ ზედაპირს.

ამ ავადმყოფობით დაავადებული ლვინის დაძმახასიათებელი ნიშანია ძმრის სუნი და გემო.

თუ ავილებთ აპკიდან ნიმუშს, გავაკეთებთ პრეპარატს, და გავსინჯავთ მიკროსკოპში დავინახავთ მოკლე უფერულ ჩინირისებრ უჯრედებს, რომლებიც ხშირად ძეწვისებრად არიან გადაბმულნი.

ცნობილია აგრეთვე ძმრის ისეთი ბაქტერიები, რომლებიც ბრკეს არ წარმოშობენ და მოძრავნი არიან.

არჩევენ ძმრის ბაქტერიების რამდენიმე სახეს. მათში უმთავრესებია: ბაქტერიები აცეტი, კუტზინგიანუმი, პასტერიანუმი და ქსილინუმი. ამათგან ლვინის წარმოებებში უმთავრესად ვხვდებით ბაქტ. აცეტი ვინის და ბაქტ. ქსილინუმს.

ბაქტერიუმ-აცეტი ლვინის წარმოებაში ძლიერად და გავრცელებული, სითხის ზედაპირზე წარმოშობს უჯრედის სებრად ერთმანეთზე გადაბმულ მოქლე ჩინორებს (სურ. 2). უჯრედის სიდიდე 1,5η ლვინის დაძმარება უმთავრესად ამ ბაქტერიით არის გამოწვეული.

ბაქტერიუმ-აცეტი მსილინუმი მოქლე ჩინორებია, სიგრძე 20η-მდე, სითხის ზედაპირზე წარმოშობს მრავალ ფენიან დანაოჭებულ ბრკეს.

ძმრის ბაქტერიების ურთიერთ განსხვავებისათვის იყენებენ იოდს. ბ. აცეტი და ბ. კუტზინმიანუმი იოდით ყვითელფრად იღებებიან, ხოლო ბ. პასტერიანუმი ცისფრად.


ძმრის ბაქტერიები იყენებენ რა ჰაერის უანგბადს, ფერმენტ აცეტაზის მეშვეობით მოქმედებენ სპირტზე და უანგავენ მას.

სპირტის დაუანგვას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ წარმოშობილი ძმრის სიმუავე უფრო მძიმეა და ეზვება სითხის ქვედა ფენებში, ხოლო სპირტი როგორც მსუბუქი ამოდის ზევით.

ძმრის მუავა ბაქტერიების მოქმედების შედეგად სპირტის დაუანგვა მიმდინარეობს ორ ფაზად: პირველად სპირტიდან წარმოიშვება ძმრის მუავა ალდეჰიდი შემდეგ კი ალდეჰიდი იეანგება ძმრის მუავამდე.

თეორიულად 100 გრ სპირტი იძლევა 130 გრ ძმრის სიმუავეს, ხოლო პრაქტიკულად ცოტა ნაკლებს.

ლვინის დაძმარებისაგან დაცვისათვის წინასწარი პროფილაქტიკური საშუალებაა: მარნისა და სადულარი ჭურჭლის



სურ. 2



სისუფთავე, ყურძნის გადარჩევა, საფუვრის წმინდა კულტურული რის ხმარება, ჭაჭის ხშირი არევა, ლვინის დროულად შექვება და სხვ.

დაძმარებით დაავადებული ლვინის განკურნება და მის-თვის პირვანდელი თვისებების დაბრუნება შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ მისი გამოკეთება იმ შემთხვევაში, თუ ძლიერად არ არის დაჭანგებული. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა ლვინის პასტერიზაცია, შემდეგ მისი გაფილტვრა და საღ ლვინოში შერევა.

თუ წარმოებას პასტერიზაციის საშუალება არა აქვს, მაშინ კარგ საშუალებას წარმოადგენს გოგირდოვანი მუჟავის ანჰიდრიდის შეტანა. სუფრის მშრალი ლვინისათვის საქმარისია შეტანილ იქნეს ჰექტოლიტრში 10—15 გრ.-მდე, რომ ძმრის ბაქტერიების მოქმედება შეწყდეს.

როდესაც ლვინოში ძმრის სიმუჟავე არ აღემატება 4% , მაშინ კარგ შედეგს იძლევა ლვინის ზედაპირზე ხერესის საფუვრების ბრეის განვითარება (საენკო). ამ მეთოდით ლვინო მთლიანად განიკურნება.

თოვ შემთხვევაში დაავადებულ ლვინოს ანეიტრალებენ და ხდიან სპირტად.

თუ ლვინო ძლიერადაა დაჭანგებული, მაშინ უმჯობესია დაძმარდეს და ძმრად იქნეს გამოყენებული.

3. მანიტით დაავადება

ლვინის მანიტით დაავადების შემთხვევაში წარმოიშვება სპირტი—მანიტი, რომელსაც აქვს ტკბილი და აგრეთვე რძისა და ძმრის გემო.

მანიტის დულილს უმთავრესად წითელი ლვინო განიცდის, იშვიათ შემთხვევაში თეთრიც; ეს გარემოება აისტნება იმით, რომ წითელი ლვინის დულილის დროს ვითარდება მაღლალი ტემპერატურა, რაც საუკეთესო პირობას წარმოადგენს მანიტის დულილის გამომწვევი ბაქტერიების განვითარებისათვის. ამ დაავადების შემთხვევაში ლვინის ფერი მუქდება და ლებულობს რძისა და ძმრის სიმუჟავის გემოს.

წვერი, ცხადა
სამომავლო მუზეუმი

თუ ავილებთ დაავადებული ღვინის ერთ-ორ წვერი, დაგასხამთ საათის მინაზე და ავაორთქლებთ, მინაზე დარჩებთ თეთრი ფერის კრისტალები. ეს კრისტალები მანიტია და ამ დაავადებამაც ამისათვის მანიტის დაავადების სახელწოდება მიიღო.

მანიტით დაავადებას მრავალი ბაქტერია იწვევს. მათ-გან უმთავრესია ბაქტერიები: მანიტოფეუშმი, გრაცილი, ინტერ-მედიუშმი, მიკროკოკუს და სხვ. ეს ბაქტერიები კარგად ვითარდებიან, აგრეთვე ყურძნის წვენშიც.

მანიტის დუღილის გამომწვევი ბაქტერიების განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა $25-30^{\circ}\text{C}$. ისინი კარგად ვითარდებიან აგრეთვე 36° -ზე და უფრო მაღალ ტემპერატურაზედაც, ე. ი. იმ ტემპერატურაზე, რომელზედაც საფუვრები ანელებენ მოქმედებას.

მანიტის დუღილის ბაქტერიები 60° -ზე სტერილიზაციის დროს იხოცებიან, ხოლო ლიტრზე 100 მგ SO_2 -ის მიმატება კი აჩერებს მათ მოქმედებას. $10,5-11,0$ გლ სიმჟავის დროს ბაქტერიები არ ვითარდებიან და ღვინო მანიტით არ ავადება. ღვინოში, რომელიც 14° -ზე ზევით შეიცავს სპირტს, ზემოთ ჩამოთვლილი ბაქტერიები ვერ ვითარდებიან.


მანიტის დუღილის გამომწვევი ბაქტერიები კარგად ითვისებენ ღვინოში არსებულ შაქრებს და სიმჟავეებს. ამ ნივთიერებებზე სხვადასხვა მანიტის ბაქტერიების მოქმედება სპეციფიკურია. მაგალითად, მანიტოფეუშმი (სურ. 3) შლის ფრუქტოზას, მანიტის, CO_2 , რძისა და ძმრის სიმჟავეების წარმოშობით.

ინტერმედიუშმი შლის გლუკოზას მცირე რაოდენობის ძმრის სიმჟავის წარმოშობით, ამავე დროს ენერგიულად შლის ვაშლის მევას CO_2 -ის, მანიტისა და რძის სიმჟავის წარმოშობით.

ძირითადი მიზეზი ღვინის მანიტით დაავადებისა არის დუღილის დროს მაღალი ტემპერატურა. როდესაც ტემპერატურა სცილდება $30-36^{\circ}$ საფუვრები თითქმის აჩერებენ მოქმედებას, ხოლო მანიტის ბაქტერიებისათვის ხელსაყრელ ტემპერატურას წარმოადგენს.



მანიტით ძლიერად დაავადებული ღვინის შემაღებელთა გა შეცვლილია. ამისათვის; მისი გამოჯანსაღება შეუძლებელია. დაავადება თუ ახლად იწყება, მის გამომწვევ მიკრობებს პასტერიზაციით ქლავენ და დაავადებას აჩერებენ. ამის შემდეგ ღვინოს ფილტრავენ და უადაქვთ კარგად დამუშავებულ ბოჭკაში.



სურ. 3

თუ ღვინოში არსებობს დაუდუღარი შაქარი, მაშინ მასზე საფუვრების დამატებით შაქარს დააღუღებენ. დარჩენილი შაქრის შემცირება და სპირტიანობის გაზრდა აუმჯობესებს ღვინის გემურ თვისებებს.

4. რძემჟავა დუღილით დაავადება

ღვინოში მოხვედრილი რძემჟავა დუღილის გამომწვევი ბაქტერიები მასში არსებულ გაშლის მევას შლიან რძის მჟავისა და CO_2 -ის წარმოშობამდე. ამ პროცესის შედეგად დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინო მიიღება რბილი და ჰარმონიული. მაშასადამე, რძის სიმჟავის წარმოშობა ღვინოში წარმოადგენს ნორმალურ მოვლენას.

ზოგ შემთხვევაში რძის სიმჟავის წარმოშობა მიმდინარეობს ღვინოში არსებული შაქრის ხარჯზედაც, რასაც მო-

ჰელიკობარიუმის გაზრდა და მანიტის წარმოშობა განვითარება
ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რძემუავა დუღილით დაავადებ-
ბასთან. ასეთ დაავადებას განიცდის უმთავრესად დაბალი
მეტანომბის ტებილი და მშრალი ღვინო.

რძემუავა დუღილით დაავადებულ ღვინოს აქვს კომ-
ბოსტოს მწნილის ან მეტავე რძის სუნი.


რძემუავა დუღილით დაავადების გამომწვევი ბაქტერიაა
გრაცილე (სურ. 4). ეს ბაქტერია შლის შაქარს და წარმო-
შობს რძისა და ძმის

სიმეტავეს. თუ ღვინოში
შაქარი არ არის, მაშინ
მას შეუძლია სხვა ნივ-
თიერებების დაშლაც
(პენტოზას, გლიცერი-
ნის და სხვ.), რის შე-
დეგადაც ღვინოში წარ-
მოშვება არა სასიამოვ-
ნო სუნი და გემო.

ბაქტ. გრაცილეს
გარდა, რძემუავას დუ-
ღილს იწვევს აგრეთვე
ბაქტერიები: ინტერმე-
დიუმი, მიკროკოკუს აციდოვორაქსი და მიკროკოკუს ვარიო-
კოკუს.

ადრე ცნობილი იყო, რომ თუ ღვინო შეიცავს 16°
სპირტს მას ეს დაავადება არ უჩნდება, მაგრამ ამ ბოლო
წლების გამოკვლევებით დადგენილია, რომ ასეთი ღვინოებიც
ავადდებიან რძემუავა დუღილით.

არეში, როდესაც $\text{PH} = 3,6$ მეტია, მაშინ რძემუავა ბაქტე-
რიები კარგად ვითარდებიან. შემაგრებულ ღვინოში ლიტრზე
 $75-80$ მგ SO_4 -ის რაოდენობა აჩერებს ამ ბაქტერიების
ზრდას. მომაკვდინებლად მოქმედებს სტერილიზაცია $70^{\circ}-80$
15 წუთის განმავლობაში.



სურ. 4



რძემჟავა დუღილით დაავადებული ლვინის მკურნალოგიკური
ბის მეთოდი არ არსებობს. წარმოშობილი არასასურველი
პროდუქტების განდევნა ლვინიდან შეუძლებელია, მხოლოდ
შეიძლება მათი მოქმედების დაფარვა დროებით.

დაავადებული ლვინის მკურნალობისათვის მიმართავენ
პასტერიზაციას 70°-ზე, გაწებვას და გაფილტვრას „ტე“
ფილტრში.

ზოგიერთ შემთხვევაში დაავადებულ ლვინის ხელმეორედ
დაადუღებენ ახლად გამოწურული ყურძნის წვენთან ერთად.

5. პროპიონის დუღილით დაავადება (გადაბრუნება)

ეს ავადმყოფობა უჩნდება ისეთ ლვინოს, რომელსაც და-
ბალი მჟავიანობა აქვს. იგრეთვე, ისეთ ლვინოს, რომელიც
დაავადებული ყურძნიდან არის მიღებული.

პროპიონის დუღილი ლვინოში უმთავრესად ჩნდება სით-
ბოს დროს (მაისი, ივნისი, ივლისი).

ცნობილია ავადმყოფობის ორი გვარობა, ერთ შემთხვე-
ვაში ავადმყოფობას თან სდევს გაზის გამოყოფა, ხოლო მე-
ორე შემთხვევაში გაზი არ გამოიყოფა.

ამ ავადმყოფობას ლვინის მჟავის, მჟავე მარილებისა და
გლიცერინის დამშლელი ბაქტერიები—ტარტაროფტორუმი
და ბაცილა ამარავრილუსი—იწვევენ.

დაავადებულ ლვინოს ძმრის ეთილეთერის სუნი ემჩნევა
და მისი გემო უსიამოვნო ხდება. შემდეგ კი დამძალებული
ერბოს სუნი და გემო თანდათანობით მატულობს.

დაავადებული ლვინო ჭარის შეხებისას ფერს იცვლის.
წითელი ლვინო ჟანგის, მიხაების ფერს გადაიკრავს, თეთრი კი
ყვითელ ან რუხ ფერს დებულობს.

დაავადების მეორე ფორმა იწყება სარდაფში დათბობი-
დანვე. ეს შესამჩნევი ხდება იმით, რომ დაავადებულ ლვინოს
გამოყოფა CO_2 , ზოგჯერ ისეთი რაოდენობით ხდება CO_2 -ის
დაგროვება, რომ კასრიდან საცობს ამოაგდებს, ასეთი ლვი-
ნო ჭიქაში ჩასხმისას მის გარშემო იძლევა გაზის წინწკლებს;
ჭიქა, რომ შევარხიოთ ლვინოში აბრეშუმივით ბრჭყვიალ
ძაფისაგან შემდგარ ტალღებს დავინახავთ.

პროპიონით (გადაბრუნებით, როგორც ამას საქართველოში ლოში ეძახიან) დაავადებული ღვინის მიკროსკოპში გასინჯვით დავინახავთ საქმაოდ გრძელ, წელში გადატეხილ ან მოხრილ ჩხირებს (სურ. 5).

ბაქტერია ტარ-ტაროფტორუმის მოქნედებით ღვინის მექავის კალიუმისა და კალციუმის მარილები იშლებიან ძმრის მექავის, პროპიონისა და ნახშირმექავის წარმოშობით. ამ ბაქტერიას გლიცერინიც შეუძლია დაშალოს ძმრის, რის და პროპიონის მექავეების წარმოშობით.


ბაცილა ამარაკრილუსი მხოლოდ გლიცერინს შლის და მისგან პროპიონის მექავის წარმოშობს.

ცვლილება, რომელიც მიმდინარეობს ღვინოში პროპიონი დულილის ბაქტერიებით ძალიან რთულია და მრავალფეროვანი, იმ ყველა ცვლილებებთაგან, რომელიც მიმდინარეობს ღვინოში. ამ დაავადების დროს მთავარი მნიშვნელობა აქვს ღვინის მექავისა და მისი მარილების გარდაქმნას პროპიონის მექავაში, წყალში და ნახშირმექავაში.

ახლად დაწყებული ავადმყოფობა შეიძლება შეჩერებული იყოს პასტერიზაციით. პასტერიზაციის შემდეგ საჭიროა გაწებვა და გაფილტვრა. ამ დაავადების შეჩერება შეიძლება აგრეთვე დასპირტვით, ხოლო თუ დაავადება ძლიერია, უკეთესად მისგან გამოიხადოს სპირტი.

6. მოლბობა ანუ გალორწოება

მოლბობით ანუ გალორწოებით უმთავრესად ავადდება დაუდუღარი ან მცირე რაოდენობით ტანინის შემცველი თეთვე. 2.გ. მოსიაშვილი



სურ. 5.




რი ლვინო. ავადმყოფობა უმთავრესად თავს იჩენს გაზაფრულებული ლვინო ხაფულში ე. ი. როდესაც დათბება.

გალორწოებით დაავადებული ლვინო ხშირ შემთხვევაში იმღვრევა. ძლიერ დაავადებული ლვინო კვერცხის ცილის აგებულობას ლებულობს და ზოგ შემთხვევაში გამოჰყოფს გაზს.

მოლბობას ანუ გალორწოებას უმთავრესად იწვევს ბაცილა ვისკოზუს ვინი. გამორკვეულია აგრეთვე, რომ გალორწოებაში მონაწილეობს ობი — დემატიუმ პულულანსი და საფუარა ორგანიზმები — პიხიადა ტორულა, ჩამოთვლილი ორგანიზმების მოქმედებას უმთავრესად ლორწოვანი დულილი წარმოადგენს. ლვინოში დარჩენილი დაუდულარი შაქარი ხსენებული ორგანიზმების გავლენით დექსტრინის მაგვარ ლორწოვან ნივთიერებას იძლევა. ზოგ შემთხვევაში მოლბობილ ლვინოში ნახშირეანგი, მქროლავი მეავეები და ზოგჯერ კი მანიტიც წარმოიშვება.

მოლბობის გამომწვევი მიკრობი ვისკოზუს ვინი წარმოადგენს პატარა ზომის ბაცილებს, რომლებიც ძეწვისებრად არიან გადაბმული (სურ. 6).



სურ. 6

მოლბობის ანუ გალორწოების ბაქტერიები ანაერობი ორგანიზმებია. ისინი კარგად ვითარდებიან 30° -ზე და იღუპებიან 50 — 55° -ზე 15 წუთის განვლობაში.

დაავადებულ ლვინოს ბოჭკიდან გადმოსხამენ ისე, რომ რაც შეიძლება მეტი ჰაერის შეხება შოხდეს, ჰაერი აფერხებს ამ ბაქტერიების მოქმედებას

და ამასთან ერთად ამ დროს ხდება ლორწოს გათქვეფა. ამის შემდეგ ერთ ჰექტოლიტრ ლვინოზე (მოდებაძე) უმატე-


ბენ 10 გრ ტანინს, 10—15 გრ პიროსულფიტს და კაოლინით შემცირებული ლვინოს, პასტერიზაციას უკეთებენ და ერთხელ კიდევ ასუფთავებენ წებოთი.

7. დამწარება

დამწარებით ავადდება უმთავრესად წითელი ლვინო მისი განვითარების ყველა ასაკში. ამ ავადმყოფობით ძალიან იშვიათად ავადდება თეთრი ლვინო.

დამწარებით დაავადებული ლვინო ფერში იშვიათად იქრება, თუ აიჭრა მაშინ ჭურჭლის ფსკერზე მოწითალო მიხაკისფერ ნალექს წარმოშობს, როგორც ამ ავადმყოფობის სახელწოდებიდან ჩანს ლვინო მწარდება.

დაავადებული ლვინის მიკროსკოპში გასინჯვისას დავინახავთ სწორ ან კუთხით მოღუნულ ბაქტერიის ჩხირებს (სურ. 7). დამწარებით დაავადებულ ლვინოში სიმუშავე მატულობს.



სურ. 7

დაღვენილია, რომ დამწარებული ლვინო დიდი რაოდენობით შეიცავს აკროლეინს. მაგალითად, ახლად დაავადებულ

ლვინოში ერთ ლიტრზე აკროლეინი მოდის 40 მგ-მდე, ხოლო ძლიერ დაავადებულში 150 მგ-მდე.

თუ ავადმყოფობა დაწყებით სტადიაშია და ლიტრზე მქროლავი მჟავა 1,5 გრ-ზე ნაკლებია მაშინ პირველ რიგში საჭიროა ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიის მოსპობა, ამის შემდეგ კი გაწებვითა და გაფილტვრით მისგან განიკურნება ლვინო.

ბაქტერიის მოსპობა შეიძლება სტერილიზაციით 60—62°-ზე გაცხელების გზით. ბაქტერიების მოსპობისათვის კარგია აგრეთვე ლვინის დამუშავება გოგირდოვანი მჟავის ანცილრიდით 5—10 გრ ჰექტოლიტრზე.

8. შემაგრებული ლვინის ავადმყოფობა

ლაქტობაცილა იწვევს შემაგრებული ცველა ტიპის ლვინის დაავადებას. ლაქტობაცილის მიერ დაავადებული ლვინო ლებულობს მუქ შეფერვას, კარგავს გამჭირვალობას და მასში წარმოიშობა აბრეშუმის ძაფისმაგვარი ტალღები. ეს უკანასკნელი გამოწვეულია ლვინოში დიდი რაოდენობით ლაქტობაცილის ჩხირების გამრავლებით. პირველად ლვინო იცვლის გარეგან შეხედულებას და შემდეგ კი გამოვლინდება სხვა ცვლილებებიც, საბოლოოდ ლვინო ლებულობს მჟავე გემოს და არა სასიამოვნო სუნს, ხშირად „თავის გემოსაც“.

დაავადებულ ლვინოში მცირდება შაქრის რაოდენობა და იზრდება საერთო და მქროლავი სიმჟავე, გროვდება რძისა და ძმრის სიმჟავეები. ამ ავადმყოფობას ახასიათებს აგრეთვე გაზის წარმოშობაც.

შემაგრებული ლვინის დუღილის დროს ერიდებიან ტემპერატურის 30°-ზე ზევით აწევას. ტემპერატურის აწევის შემთხვევაში აწარმოებენ მის ხელოვნურ გაციებას.

ავადმყოფობის გამომწვევი ლაქტობაცილა წარმოადგენს უძრავ ჩხირს (სურ. 8), რომლის სიგრძე მერყეობს 2—4 ემდე. ხშირ შემთხვევაში ბაქტერიის ჩხირები გადაბმულია ძეწკვისებრად, რომელთა სიგრძე ზოგ შემთხვევაში 60-მდე აღწევს.

ლაქტობაცილის განვითარებისათვის იპტიმალური ტემპერატურა 35°C-ია 20—25°; 15—20°-ზე მისი განვითარება ნელღება, სუსტად მიმდინარეობს მისი განვითარება, აგრეთვე 30—35°-ზედაც.

ლაქტობაცილი ბუნებაში ძლიერადა გავრცელებული მას ვხვდებით აგრეთვე ლვინის წარმოებებშიც.


შემაგრებული ლვინის შენახვის პირველი ორი წლის ყოველ ორ თვეში ერთხელ მაინც აწარმოებენ მიკრობიოლოგიურ კონტროლს.

როდესაც კი შემაგრებულ ლვინოში შეამჩნევენ ლაქტობაცილის ნამრავლის საკმაო რაოდენობას, მიმართავენ მის პასტერიზაციას. ლაქტობაცილა ილუპება 70°-ზე 1 წუთის ან 65°-ზე 5 წუთის პასტერიზაციის დროს. თუ ლვინო ბოთლებშია დაავალებული, მას ასტერილებენ 60°-ზე 20 წუთით.

წარმოებაში პასტერიზატორის უქონლობის შემთხვევაში ლვინოში განვითარების პროცესში მყოფ ბაქტერიას სპობენ სულფიტაციით. ამ შემთხვევაში ლიტრში უმატებენ 150 მგ SO₂-ს.

3) სოკომაზი

ყურძნის მშიუქ მარცვლებზე სხვა მრავალ მიკროორგანიზმთან ერთად გვხვდება აგრეთვე ობის სოკომაზი, ლვინის წარმოებაში მოხვედრილი ობის სოკომაზი, ნახულობენ რა თავიანთი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებსა და საჭვეშ პროცესებს ინტენსიურად მრავლდებიან სარდაფის კედ-



სურ. 8.



ლებზე, ჭურჭლებზე და ინვენტარზე, იწვევენ მათ დაზიანებაზე სა და დაავადებას.

სოკოები მრავლდებიან სპორებით და ვეგეტატიურად შესაფერ საკვებ არეზე სპორა კვირტის მსგავს პატარა გამონაზარდს იქეთებს, რომელიც თანდათან გრძელდება და იტოტვება. ამგვარად ორგანული ნივთიერება, რომელზედაც სოკო იზრდება ნაცრისფერ ან მწვანე ობის ქსელით დაითარება. სოკოს ცალკეულ ძაფებს გიფებს უწოდებენ და მთელ მასას ერთად — მიცელიუმს. მიცელიუმი ღვინის სილრმეში ჩაიზრდება საჭირო ნივთიერების მოსაპოვებლად. ამის შედეგად კი იცვლება ღვინოში ნივთიერების შემადგენელი კომპონენტები.

სოკოები თავიანთი განვითარებისათვის ღვინიდან ითვისებენ შაქრებს, სიმუავეებს, აზოტოვან ნივთიერებებს და სხვ.

ობის სოკოები ბუნებაში მრავლადაა გავრცელებული-მელვინეობაში მათგან უფრო ხშირად გვხვდება სარდაფში და ყურძნებზე: დემაციუმი, სარდაფის ობი, მუკორი, პენიცილიუმი, ასპერგილუსი და ბოტრიცის.

1. დემაციუმი

დემაციუმს ვხვდებით ვაზის ყველა ნაწილზე. მისი მუქი მიცელიუმის გიფები ტიხრებით არის დაყოფილი (სურ. 9). გიფების გარედან ტიხრების ორივე მხარეზე საფუვრის მსგავს კვირტებს იკეთებს. ეს ორგანიზმი მრავლდება ისევე, როგორც საფუარი, მაგრამ საფუვრის უჯრედებისაგან განსხვავდება იმით, რომ ალკოჰოლურ დუღილს ვერ იწვევს. ყურძნის წვენის ზედაპირზე რუხი მომწვანო ფერის აპკს იძლევა, ასევე ვითარდება ჭურჭლის ნაპირებზედაც. ყურძნის წვენში განვითარებული ობი იყენებს რა მასში არსებულ შაქრებს და სხვა ნივთიერებებს, ამით ცვლის მის შემადგენლობას და ცვალებადობასთან ერთად თავისი ცხოველმყოფელობითი მოქმედების შედეგად. წარმოშობს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც საფუვრებზე უარყოფითად მოქმედებენ და საშუალებას არ აძლევენ



დემაციუმის მოქმედების შედეგად წარმოშობილი ნივთიერებები ყურძნის წვენიდან ან ლვინის ჭურჭლიდან გადადიან ლვინოში და იწვევენ მისი გემური თვისებების შეცვლას ხარისხის გაუარესებით.

2. სარდაფის ობი


სარდაფის ობი უმთავრესად ვითარდება სარდაფის კედლებზე და ამ პერიოდში მას არ შეუძლია არავითარი ზიანის მოტანა. ზოგიერთი მკედლევარი მას სარდაფში სინოტივის რეგულატორის როლს ანიჭებს.

სარდაფის ობი როდესაც კედლიდან ლვინის ჭურჭლზე გადადის, მაშინ მისი მიცელიუმი ინტენსიურად იწყებს გამრავლებას, ჩაიზრდება შიგნით ტკეჩების შუალედებული და არასასიამოვნო სუნსა და გემოს სძენს ლვინოს.

ობის სოკოს მიცელიუმი მომწვანო-მოქვითალო ფერისაა, უჯრედები დაყოფილია (სურ. 10). ლვინოში ობის მიერ გამოწვეული არასასიამოვნო სუნი და გემო უნდა მიეწეროს მისი მოქმედების შედეგად წარმოშობილ არასასურველი ნივთიერებებს.

3. მუკორი

მუკორის სოკო ბუნებაში გვხვდება მრავალ მცენარესა და მის ნაყოფზე, მას ვხვდებით აგრეთვე წარმოშობაში და ში-




სურ. 9

საქართველოს მეცნიერებათა კულტურის
და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემის
ფორმაში

ნაურ პროცესებზე. ყურძნის მარცვლებზე ვითარდება ბაქტერია და მის მიერ გამოცემის მიზანით, რომელიც შემდეგ რუს შეფერვას ღწევაში მოძის და სიბერის სტადიაში კი შავდება.

მუკორი ვრცელდება სპორების საშუალებით. საერთოდ მუკორის ნაზარდი ერთ მთლიან მასივს წარმოადგენს. შაქრიან სითხეში მოხვედრილი მუკორის სპორები ინვითარებენ მიცელიუმს, რომელიც ტიხედებით უჯრედებათა დაყოფილი (სურ. 11). ეს უჯრედები ზოგჯერ მოწყდებიან ერთმანეთს, საფუვრების მსგავსად დაკვირტვით იწყებენ გამრავლებას და ცოტაოდენ სპირტსაც, წარმოშობენ (არა უმეტეს 3 % -სა) არის მუკორის ისეთი სახეცა, რომელიც ალკოჰოლს 8 %-მდე წარმოშობს.



სურ. 10




სურ. 11

აერობულ პირობებში მუკორი შაქარს ნახშირმჟავამდე გამოიყენება რეცეპტორის სპირტსა და ნახშირორეანგს წარმოშობს.

4. პენიცილიუმი

პენიცილიუმი კარგად ვითარდება ყურძნის მარცვლებზე, მით უმეტეს თუ ნესტიანი შემოდგომაა. კარგად ვითარდება აგრეთვე ლვინის ჭურჭელზე, სარდაფის ინვენტარზე, კედლებზე და საკვებ პროდუქტებზე. პენიცილიუმი ვრცელდება სპორებით. მისი სპორები მცირე ზომისაა და შეფერილია მწვანე ფერად (სურ. 12). პენიცილიუმი კარგად ვითარდება ცილების, ტანიდების, შაქრებისა და ზოგიერთი მეჯვების შემცვლელ საკვებ არეებზე. შლის შავი ყურძნის პიგ-მენტს და ამით მას შეფერვას უმცირებს. მისი ცხოველ-მყოფელური მოქმედების შედეგად წარმოიშვება ისე-თი ნივთიერებანი, რომლებიც ყურძნის ჭვენს ან ლვინოს სძენს შმორის სუნსა და საფუვრებზე მომაკვდინებლად მოქმედებს.


ცნობილია, რომ პენიცილიუმი შაქრიდან ზოგ შემთხვევაში მანიტსაც წარმოშობს, ამიტომაა, რომ პენიცილიუმით დაზიანებული ყურძნიდან დამზადებულ ლვინოს მანიტის დაავადება უჩნდება. ლვინის ჭურჭელზე ერიდებიან პენიცილიუმის გაჩენას, რადგან თუ განვითარდა და შიგნით ჩაიზარდა გამოიწვევს ლვინის დაავადებას.



სურ. 12

5. ბოტრიცის

ბოტრიცის სოკო (კეთილშობილი სიდამპლე) ყურძნის შევახე და მწიფე მარცვლებზე ნაცრისფერი მიცელიუმის ნაზარდს წარმოშობს (სურ. 13).



სურ. 13

შაქრის გარდა ეს სოკო მუკვეტაც ითვისებს, რის გამცე ამ სოკოთი დაზიანებული ყურძნის წვენი ღარიბია მეავებით. ასეთივე შეცირება ხდება აზოტოვანი და მინერალური ნივთიერებებისა. სამაგიეროდ ამ სოკოს მოქმედებით გლიცერინი და სურნელოვანი ნივთიერებები წარმოიშობიან, რომელებიც საუკეთესო ბუკეტს სქენენ ღვინოს.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია კეთილშობილი სიდამპლის სოკოს მიერ ყურძნის დაზიანებულ მარცვალში დაგროვილი ფერმენტი ოქსიდაზი, რომელიც ღვინოშიაც გადადის და ენერგიული დამჟანგავი თვისებების გამო ეგრეთ წოდებულ ოქსიდაზურ კასს იწვევს. ოქსიდაზის გავლენას ღვინოზე SO_2 -ის მოქმედებით ასუსტებენ ან სპობენ.


SO_2 -ის ქიმიური მოქმედება გამოიხატება იმაში, რომ ღვინოში შეცულ ქანგბადს ის შთანთქავს დაიჯანგება; უფანგბადო არეში კი ოქსიდაზი ველარ მოქმედებს და ღვინო მისი გავლენისაგან დაცული რჩება.

ყურძნის მწიფე მარცვალს სოკო ღრმად ჩაეზრდება, ვითარდება შიგნით და მიხაյისფერს სქენს მარცვალს, შემდეგ სიდამპლე უფრო ვრცელდება და მთელი მარცვალი დაიფარება სოკოს ვეგეტატური მასით.

კეთილშობილი სიდამპლის სოკო ყურძნის წვენის, ნახშირწყლებს, აზოტოვან და მინერალურ ნივთიერებებს ართმევს. ორგანულ ნივთიერებებს ნაწილობრივ წყლამდე და CO_2 -მდე შლის, სხვადასხვა ნივთიერებებს წარმოშობს და ამგვარად ცვლის ყურძნის წვენის შეზადვენლობას.

6. ასპერგილუსი

ასპერგილუსი ძლიერაა გავრცელებული ყურძნის მარცვლებზე და სარდაფში. მას პენიცილიუმის მსგავსი ნაყოფი აქვს (სურ. 14). ისე როგორც პენიცილიუმს ამ სოკოს მიცელიუმიც დატოტვილი და დატიხრულია.



სურ. 14

ეს სოკო შეიცავს ფერმენტ დიასტაზას რის შემწეობითაც სახამებელი დექსტრინად და მალტოზად გადაპყავს. ასპერგილუსი კარგად ვითარდება ყურძნის წვენის ზედაპირზე, იკეთებს მიცელიუმის სქელ, ხშირ შემთხვევაში შავი ფერის ნაზარდს. ამ ობის განვითარება საშუალებას არ აძლევს საფუარს ყურძნის წვენში აწარმოოს დუღილი.

ობის სოკოების საერთო ბრძოლის ღონისძიებები აღწერილია პროფილაქტიკურ ღონისძიებებში.

სარჩევი

შესაგალი	3
პროფილაქტიკური ღონისძიებანი	4
ა) ბაქტერიები	6
1. ღვინის ბრკე	7
2. ღვინის დაძმარება	10
3. მანიტით დაავადება	12
4. რძემჟავა დუღილით დაავადება	14
5. პროპიონის დუღილით დაავადება (გადაბრუნება)	16
6. მოლბობა ანუ გალორწოება	17
7. დამწარება	19
8. შემაგრებული ღვინის ავადმყოფობა	20
ბ) სოკოები	21
1. დემაციუმი	22
2. სარდაფის ობი	23
3. მუკორი	23
4. პენიცილიუმი	25
5. ბოტრიცის	26
6. ასპერგილუსი	27



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. ა ბ ე ს ა ძ ე

გამომცემლობის რედაქტორი ნ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

ტექნიკური ა. თ თ დ უ ა

კორექტორი ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი

გადაეცა შარმოებას 1.12.1956; ანაწყობის ზომა $51/2 \times 9$; ხელმოწერილია

დასაბეჭდად 24.1.1957; ქაღალდის ზომა $84 \times 108^{1/2} \times 2$;

ქაღალდის ფურცელი 0,44; საბეჭდი ფურცელი 1,44; საავტორო

ფურცელი 1,04 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 1,16;

შეკვეთა 1881; უე 01010; ტირაჟი 2000

ფასი 40 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.

